# მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

## დაწესებულების შესახებ ინფორმაცია

| | |
|---|---|
| დაწესებულება | შპს "არილი" |
| საიდენტიფიკაციო კოდი | 445387778 |
| რეგიონი | აჭარა |
| რაიონი | ქ. ბათუმი |
| მისამართი | თაყაიშვილის №36-38 |
| საფოსტო ინდექსი | 6000 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | http://www.schoolarili.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | arilibat@gmail.com |
| ტელეფონი/ფაქსი | 593 175178/ 557300010 |
| დაწესებულების ხელმძღვანელი | |
| სახელი და გვარი | ინგა მაჩიტიძე |
| ტელეფონი | 593 175178 |
| ელ-ფოსტა | arilibat@gmail.com |
| დაწესებულებაში მოსწავლეებისა და პედაგოგების რაოდენობა | |
| პედაგოგი | 29 |
| მოსწავლე/სსსმ მოსწავლე | 120 / სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ფიქსირდება |
| ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | |
| გადაწყვეტილების ნომერი | საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის N48 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................

ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | გადაწყვეტილება |
|---|---|
| მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | 160 |

დაწესებულებაახორციელებს

- დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ■
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ☐

ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N 217 26.03.2018 |
| მონიტორინგის ჯგუფის წევრები | ქეთევან ბოტკოველი (თავმჯდომარე), ნოდარ ანგურიძე (წევრი). |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 2-4 აპრილი 2018 წ. |
| დასკვნის მომზადების თარიღი | 11 აპრილი 2018 წ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ----------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციისსტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

## I. საგანმანათლებლოპროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს „არილის" მისია<br>სკოლა „არილის" მისიაა ქვეყნისათვის ღირსეული მომავალი თაობის აღზრდა . იგი უზრუნველყოფს უსაფრთხო და მრავლისმომცველ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, მათში ქვეყნის ინტერესებისა და დემოკრატიული ღირებულებების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას; ქართული კულტურისა და ტრადიციების დაფასებას.<br><br>სწავლება სკოლის უპირველესი პრიორიტეტია. მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ არა მხოლოდ მაღალ აკადემიურ მაჩვენებელს, არამედ გამოიმუშავონ პრობლემათა დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი. სკოლა ორინეტირებულია მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალურ, ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე, ჩამოუყალიბოს მათ დამოუკიდებლი, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება, რათა ღირსეული ადგილი დაიკავონ საზოგადოებაში.<br>სწორედ ამიტომ სკოლის მთავარი მისიაა, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთოს უცხო ენის შესწავლაზე დაწყებითი საფეხურიდან, რაც ხელს შეუწყობს მოზარდებში ტოლერანტობას და მათ გზას გაუხსნის ეროვნული და ევროპული განათლებისაკენ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

მისიასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს მას ენობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით შემდგომი დახვეწის მიზნით, რამდენადაც მასში წარმოდგენილი მიზნების მისაღწევად, მხოლოდ უცხოური ენის შესწავლის გაძლიერება არამართებულად მიგვაჩნია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე (ოქმი №1) და დამტკიცებულია დირექტორის მიერ (07.09.2017 წ. შპს "არილის" წესდების თანახმად დირექტორი თავად ხელმძღვანელობს პედაგოგიურ საბჭოს).

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- საათობრივი ბადე;
- მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში;
- დამრიგებლის მოვალეობები;
- კათედრები და მათი ფუნქციები;
- თვითშეფასების სისტემა;
- საგანმანათლებლო რესურსები;
- სასწავლო საათების განაწილებისას განხორციელებული ცვლილებები;
- ინკლუზიური განათლების ზოგადი კონცეფცია.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმა, რომელიც გასული სასწავლო წლის ყოველგვარი



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................
ექსპერტი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | გაანალიზების გარეშე არის შემუშავებული და დამტკიცებული, მცირე ცვლილების გარდა სრულად იმეორებს ეროვნული სასწავლო გეგმის ჩანაწერებს. ცვლილებები გულისხმობს შემდეგს:<br>• განსაზღვრულია მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში 20 (+2); რიგ საგნებს მოკლებული აქვს საათობრივი კვირეული დატვირთვა და დამატებული აქვს სხვა საგნებს:<br>• I კლასში, მათემატიკას პირველ სემესტრში დათმობილი აქვს 5 საათი, 4-ის ნაცვლად; ისტ-ს პირველ სემესტრში დათმობილი აქვს 1 საათი, 0,5 -ს ნაცვლად ხოლო სპორტს მეორე სემესტრში 3 საათი 2-ის ნაცვლად.<br>• II კლასიდან იწყება რუსულის, როგორც მეორე უცხოური ენის სწავლება 2 საათიანი დატვირთვით კვირაში.<br>• VII კლასში - მუსიკას ეთმობა 1 საათი, 2-ის ნაცვლად და ეს 1 საათი ემატება ქართული ენის სწავლებას. სასწავლო გეგმაში მოცემული ჩანაწერის თანახმად ამავე კლასში სახვით და გამოყენებით ხელოვნებას უნდა მოკლებოდა 1 საათი და დამატებოდა მათემატიკას. მაგრამ საათობრივი ბადის თანახმად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც 2 საათი ისწავლება (როგორც განსაზღვრულია ესგ-ში) და მათემატიკასაც დამატებული აქვს 1 საათი და ისწავლება 5 საათი, 4-ის ნაცვლად.<br>• VIII კლასი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება და მუსიკა ისწავლება I სემესტრში 1 საათი, კვირაში 1.5 საათის ნაცვლად და მათი დარჩენილი საათების (0.5+0.5) საერთო ჯამი, ანუ 1 საათი დათმობილი აქვს მათემატიკის სწავლებას.<br>• IX კლასში მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების წლიური დატვირთვიდან 0.5 საათი, ჯამურად 1 საათი კვირაში დათმობილი აქვს მათემატიკას.<br>• X კლასში "სპორტის" წლიური დატვირთვიდან 1 საათი დათმობილი აქვს ფიზიკის სწავლებას |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------

| | |
|---|---|
| | (2+1), ხოლო სამოქალაქო განათლებისთვის განკუთვნილი 3 საათიდან 1 საათი დათმობილი აქვს ქიმიის სწავლებას (2+1).<br>სასწავლო გეგმას დანართების სახით ახლავს: საათობრივი ბადე; შპს სკოლა "არილის" მიერ გამოყენებული გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების მიხედვით; კათედრების დებულება; გაკვეთილების დაწყება-დამთავრების განრიგი; სადამრიგებლო პროგრამები.<br>შპს "არილის" საათობრივი ბადის თანახმად სკოლაში ისწავლება ორი უცხოური ენა, კერძოდ ინგლისური ენა ( I-XII კლ.) და რუსული ენა (II –XII კლ.) ყველა კლასში ინგლისურ ენას დათმობილი აქვს კვირაში 4 საათი, ხოლო რუსულ ენას 2 საათი.<br>არჩევითი საგნებიდან ისწავლება: X და XII კლასში - კინოხელოვნება; XI კლასში - ხელოვნების ისტორია;<br><br>სკოლის სასწავლო გეგმაში (ან სხვა რომელიმე დოკუმენტში) სპორტის სახეობები არჩეული არ არის. სკოლის დირექტორის განმარტებით დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები დაკავებული არიან ტანვარჯიშით, საბაზო საფეხურზე - ჭადრაკით, ხოლო საშუალო საფეხურზე - მაგიდის ჩოგბურთი.<br><br>სკოლამ წარმოადგინა ყველა კლასის სადამრიგებლო პროგრამები, რომლებშიც გაწერილია განსახილველი თემები და ჩასატარებელი ღონისძიებები, მაგრამ არ იქნა წარმოდგენილი ჩატარებული საქმიანობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაცია. |
| დადასტურება /დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა (დანართი N 1);<br>პედაგოგიური საბჭოს ოქმები;<br>ინტერვიუები. |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი |

1.2. სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები

<table>
<tr><td>აღწერა</td><td>სკოლაში ფუნქციონირებს ექვსი კათედრა, კერძოდ:<br>• ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა;<br>• მათემატიკის კათედრა;<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;<br>• უცხოური ენების კათედრა ;<br>• საბუნებისმეტყველო საგნების კათედრა;<br>• დაწყებითი კლასების კათედრა.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე სრულად არის განმეორებული ჩანაწერები კათედრების მნიშვნელობის და ფუნქციების შესახებ. მასში საუბარია კათედრების მიერ შემუშავებული დებულების მნიშვნელობაზე, თუმცა კათედრების დებულებები, გარდა საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრისა სკოლას არ წარმოუდგენია. სასწავლო გეგმაში საუბარია ასევე კათედრებზე არსებული მდგომარეობის კრიტიკული ანალიზის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც კათედრებმა უნდა წარმოადგინონ, მაგრამ კათედრების მიერ ასეთი ტიპის სერიოზული ანალიზი არ შესრულებულა. სკოლამ წარმოადგინა მხოლოდ კათედრების წევრთა შეხვედრების ოქმები, რომლებშიც განხილულია მაგ. პირველი სემესტრის ზოგადი შედეგები.</td></tr>
</table>



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | ამ თემასთან დაკავშირებით, სკოლის დირექციას და კათედრების ხელმძღვანელებს მიეცათ რეკომენდაცია შეიმუშავონ შეფასების მექანიზმები და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დასახონ სამომავლო სამოქმედო გეგმები.<br><br>მასწავლებლებმა წარმოადგინეს პორტფოლიოები, რომლებშიც თავმოყრილია შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, მითითებულია თუ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული რა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მიღწევის შემოწმებას ემსახურებოდა ეს თუ ის დავალებაა, თუმცა არ არის გაანალიზებული მიღებული შედეგები და შესაბამისად არ არის დასახული გზები, არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.<br>დოკუმენტაციის და პირადი საქმეების შესწავლის, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეები მონაწილეობენ კლასგარეშე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციის კონკურსებში. ტარდება ექსკურსიები, სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული კლასები, რაც ემსახურება მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნებით განსაზღვრული საკითხების უკეთ ათვისებას. |
| დადასტურება /დანართი | შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები;<br>საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;<br>ინტერვიუ მასწავლებლებთანმ მოსწავლეებთან და მშობლებთან;<br>პედაგოგთა პორტფოლიოები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტი |

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის

| | |
|---|---|
| აღწერა | სასწავლო გეგმის თანახმად სკოლა იცნობს ინკლუზიური განათლების კონცეფციას, რომელშიც გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან სასწავლო და სააღმზრდელო მიდგომები და წესები, ის მექანიზმები, რომელთა მიხედვითაც სკოლა იმოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მიღების შემთხვევაში. დოკუმენტში წარმოდგენილია, ასევე ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ნიმუში.<br>მოსწავლეებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მეცადინეობას, სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული ჯგუფები. |
| დადასტურება /დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>ინტერვიუები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ....................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................
ექსპერტი ----------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები სრულად იმეორებს ეროვნულ სასწავლო გეგმის ჩანაწერებს და ისინი ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის.<br>მასწავლებლები საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი აქტივობებით აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას.<br>მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები წარმოდგენილია თითოეული მოსწავლის პირად საქმეში ჩადებული წლიური კომენტარების სახით.<br>შერჩევითი წესით შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ, სამუშაოები ძირითადად წერითი, ღია და დახურულ ბოლოიანი დავალებებისაგან შედგება. მასწავლებლებს, მათთან შეხვედრის დროს, მიეცათ რეკომენდაცია შეიმუშავონ შეფასების რუბრიკები და შემაჯამებელი დავალებების შემუშავებისას იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც გულისხმობს შემაჯამებელი დავალებების მრავალგვარი ფორმის გამოყენებას (თხზულება, მოხსენება, რეფერატი, პროექტი, საველე-გასვლითი სამუშაო, ლაბორატორიული კვლევა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში და სხვ.). |
| დადასტურება /დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>შეფასების კრიტერიუმები საგნების მიხედვით; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................

ექსპერტი ------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | ინტერვიუები;<br>საკლასო ჟურნალები;<br>მოსწავლეთა პირადი საქმეები; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულიასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი |

1.5. შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი ზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს "არილის" სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად დამრიგებელია ვალდებული რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკდემიური მიღწევის და მიმდინარე ნიშნების შესახებ.<br>მშობლის ინფორმირება ხორციელდება პირადი შეხვედრების, სატელეფონო ზარების ან წერილობითი ფორმით. შექმნილია სკოლის ვებ-გვერდი და სკოლის facebook გვერდი, რომლითაც შესაძლებელია სხვადასხვა სიახლის გაცნობა.<br>სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სკოლის მოსწავლეთა მშობლების უფლებები და ვალდებულებები.<br>მშობლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი რეგულარულად, ყოველი კვირის ბოლოს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------

| | |
|---|---|
| | ღებულობენ დამრიგებლებისგან წერილობით ინფორმაციას მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგების შესახებ. |
| დადასტურება /დანართი | სადამრიგებლო პროგრამები;<br>ინტერვიუები;<br>სკოლის ვებ-გვერდი. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლის „ე" პუნქტი |

1.6. შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, რომელიც სრულად იმეორებს ეროვნული სასწავლო გეგმის ჩანაწერებს, კათედრების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან გაანალიზონ მასწავლებლების მუშაობა და აწარმოონ ყოველთვიური მონიტორინგი, რაც საშუალებას მისცემს მათ, შეაფასონ თუ რამდენად წარმატებით ხორციელდება კათედრის მიერ დასახული მიზნები და ამოცანები. სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი გაწერილია, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა ვერც მონიტორინგის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ვერც სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების სხვა მექანიზმი. |
| დადასტურება /დანართი | სასკოლო სასწავლო გეგმა.<br>კათედრების სხომების ოქმები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| | სასკოლო სასწავლო გეგმა; |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების დანართი 1-ის მე-3 მუხლიმითს „ვ" პუნქტი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...............................
ექსპერტი -----------------------------------------------

## II. მატერიალურირესურსი

2.1. დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს„არილი“ (იურიდიული მისამართი: ბათუმი, მაქაცარიას ქ. N11) ფუნქციონირებს ქ. ბათუმში თაყაიშვილის ქ. N36/38-შიმდებარე მრავალსართულიანი შენობის ორ სხვადასხვა სართულზე. სართულებიდან ერთი მათგანი (ე.წ. ნულოვანი სართული) საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით დაფიქსირებულია კომერციულ ფართად (260,09 კვ.მ.), ხოლო მეორე - მეორე სართულად (369,57 კვ.მ.). მათ შორის არსებული (პირველი) სართული გამოიყენება ავტოსადგომად.<br>ორივე სართულზე შესვლა შესაძლებელია მხოლოდ შენობის საერთო სადარბაზო კარის გავლით, რომლის შემდეგ კომერციული ფართი იქვე, დერეფნის ბოლოშია, ხოლო მეორე სართულის ფართში მოხვედრა შესაძლებელია საერთო კიბით ან/და ლიფტით, რომლითაც ასევე სარგებლობენ შენობის ზედა სართულების მაცხოვრებლები. თითოეულ ფართს აქვს დამოუკიდებელი შესასვლელი კარი.<br>საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით კორპუსი, რომელშიც სკოლა ფუნქციონირებს მშენებარეა (იხ. დანართი 2), თუმცა ვიზიტის პერიოდში საამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობდა. |
| მიწის (უძრავიქონების) საკადასტროკოდი | N05.23.26.003.01.522<br>N05.23.26.003.01.502 |
| დადასტურება/დანართი | დანართი N2, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 4 ფურცლად |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი. |

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი, 5 საკლასო ოთახი მეორე სართულზეა, 7 - ე.წ. კომერციულ ფართში. გარდა საკლასო ოთახებისა მეორე სართულზე არის სპორტული/სააქტო დარბაზი და სამასწავლებლო (სამასწავლებლოს ფართში ასევე ინტეგრირებულია ბიბლიოთეკა და კომპიუტერული კლასი), ხოლო კომერციულ ფართში, საკლასო ოთახების გარდა, არის დირექტორის კაბინეტი და ლაბორატორიული აღჭურვილობის შესანახი ოთახი. ორივე სართულზე არის სველი წერტილები.<br>ვიზიტის პერიოდში დაფიქსირდა, რომ სკოლას რეალურად აქვს 146 ერთადგილიანი მერხი და 130 სკამი (ავტორიზაციით მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განისაზღვრება 160-ით), თუმცა მას შესყიდვის დოკუმენტაციით უდასტურდება 222 სკამის (მათ შორის 52 საოფისე სკამია) და 150 სკამის ფლობა (იხ. დანართი 3).<br>სკოლამ დამატებით, წარმოადგინა ხელშეკრულება 30 მერხისა და სკამის შესყიდვაზე და მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც დასტურდება „მომსახურეობის ნაწილის" ჩაბარება (იხ. დანართი 4). ხელშეკრულება დადებულია 2015 წელს (ავტორიზაციის მიღების პერიოდში) ი.მ დავით ძნელაძესთან და დღემდე არ არის მიწოდება ბოლომდე განხორციელებული. სკოლამაც განაცხადა, რომ მათ თანხა სრულად არ აქვს გადახდილი და ვალი აქვთ.<br>გარდა აღნიშნული ინვენტარისა, საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფებით, კარადებით, პლაკატებით, რუკებით, ცხრილებით და სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებებით. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>მერხების შესყიდვის დოკუმენტები - დანართი N3, ექვს ფურცლად;<br>ხელსეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი მერხებზე - დანართი N4, ხუთ ფურცლად. |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------------

გ) სპორტული დარბაზი, აუზიანმოედანი

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს მცირე ზომის სპორტული დარბაზი (დაახლოებით 67 კვ.მ.), რომელსაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში სააქტო დარბაზის დანიშნულებითაც იყენებს. დარბაზში განთავსებულია ერთი მაგიდა ჩოგბურთისთვის. სკოლას აქვს ჭადრაკის დაფები და ტატამი, რომლის საერთო ფართი 40 კვ.მ.-ია და რომელიც შესაძლებელია განთავსდეს სპორტულ დარბაზში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს ისეთი სპორტული ინვენტარი და ინფრასტრუქტურა, რომ შესაძლებელია მოსწავლეებს საბაზო და საშუალო საფეხურზე შესთავაზოს მინიმუმ სპორტის სამი სახეობის სწავლის შესაძლებლობა, სკოლის სასწავლო გეგმაში (ან სხვა რომელიმე დოკუმენტში) სპორტის სახეობები არჩეული არ არის. სკოლის დირექტორის განმარტებით დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები დაკავებული არიან ტანვარჯიშით, საბაზო საფეხურზე - ჭადრაკით, ხოლო საშუალო საფეხურზე - მაგიდის ჩოგბურთი.<br>სკოლის დირექტორი ასევე განმარტავს, რომ სკოლა ხშირად იყენებს სკოლის მიმდებარე მუნიციპალურ (ამხანაგობის) მოედანს და ატარებს სხვადასხვა სახის სპორტულ შეჯიბრებებს. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>ჭადრაკის დაფებისა და მაგიდის ჩოგბურთის შესყიდვის დოკუმენტები;<br>დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტი. |

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შეძენილი აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სტანდარტული კომპლექტი, რომელიც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | განთავსებულია ერთ-ერთ ოთახში. დირექტორის მოადგილის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, ლაბორატორიული ცდები და ექსპერიმენტები ტარდება საკლასო ოთახებში. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება, შესყიდვის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი. |

**2.2** სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება. სკოლის მეორე სართულის გათბობა ხორციელდება ცენტრალური სისტემით, ხოლო პირველი სართული თბება „ზამთარ-ზაფხულის" ტიპის კონდენციონერებით და ელექტროღუმელებით. სკოლას ელექტროენერგია, გაზი და წყალი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან. ის წარმოადგენს „ენერგო-პრო ჯორჯიას", „სოკარ ჯორჯია გაზის" და „ბათუმის წყალის" აბონენტს. დაწესებულებამ წარმოადგინა კომუნალური გადასახადების გადახდის ქვითრები. სკოლის ორივე სართულზე არის რამოდენიმე განყოფილებიანი სველი წერტილები. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................................
ექსპერტი ------------------------------------------------

| | |
|---|---|
| | N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი. |

**2.3** სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მეორე სართულზე. წიგნსაცავი და სამკითხველო ინტეგრირებულია ერთ სივრცეში. ამავე ოთახში ფუნქციონირებს სამასწავლებლო და კომპიუტერული კლასი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო ჟურნალში და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით - ბეჭდებითა და სააღრივხვო ნომრებით. საინვენტარო ჟურნალის მიხედვით ბიბლიოთეკაში არის 574 ერთეული მხატრული და სამეცნიერო ლიტერატურა და ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული/არჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები.<br>სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, დირექტორის ბრძანებით, ბიბლიოთეკარის მოვალეობას ასრულებს სკოლის საქმისმწარმოებელი. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>საინვენტარო წიგნი;<br>წიგნების ჩუქებისა და შესყიდვის დოკუმენტები;<br>ბიბლიოთეკის დებულება. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი. |

**2.4** სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| აღწერა | სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონე მოსწავლეთა და შშმ პირთა იმ კატეგორიისთვის, რომლებიც საჭიროებენ ეტლით გადაადგილებას, სკოლის ნულოვან სართულზე (კომერციულ ფართში) შესვლა შესაძლებელია პანდუსის გარეშე, რადგან ეს სართული ქუჩის სავალი ნაწილის დონეზეა, ხოლო სკოლის მეორე სართულზე ასვლა შესაძლებელია ლიფტის საშუალებით.<br>რაც შეეხება სკოლის შიგნით, სხვადასხვა დონიანი ოთახებსა და სველ წერტილებში გადასაადგილებლად, სკოლას დამზადებული აქვს მცირე ზომის პანდუსები.<br>სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილები, ერთი ნულოვან (კომერციულ ფართში) სართულზე, ერთი - მეორე სართულზე. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი. |

**2.5** სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი ერთი კომპიუტერი (სპეციფიკაციები) არაუმეტეს 20 მოსწავლეზე. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას

| | |
|---|---|
| აღწერა | შესყიდვის დოკუმენტაციის მიხედვით სკოლის მფლობელობაში არის 9 კომპიუტერი, თუმცა მათ შორის მუშა მდგომარეობაში მხოლოდ 6-ია. დანარჩენი სამიდან, დირექტორის განმარტებით, 2 ჩაბარებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | შესაკეთებლად, ხოლო ერთი კომპიუტერი აღდგენა/შეკეთებას არ ექვემდებარება.<br>სკოლის ვებ გვერდია http://www.schoolarili.ge/, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლას ინტერნეტი მიეწოდება სილქნეტისგან. სკოლამ წარმოადგინა ინტერნეტის, დომეინისა და სერვისის მომსახურეობის გადახდის ქვითრები. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერებით;<br>კომპიუტერების ფლობის დოკუმენტაციით;<br>ვებ ვერდით http://www.schoolarili.ge/ |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული** „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.<br>ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე“ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი. |

**2.6** სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე .............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .............................
ექსპერტი -----------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომლებიც დამზადებულია შპს„სახანძრო უსაფრთხოების" მიერ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მეორე სართულის საევაკუაციო გეგმა არ შეესაბამება სკოლის საკუთრებაში არსებული ფართის შიდა აზომვით ნახაზს (იხ. დანართი 5), რადგან საევაკუაციო გეგმა ასახავს კორპუსის მთლიან მეორე სართულს, მაშინ როცა სკოლა ფლობს მეორე სართულის მხოლოდ ნაწილს. ამასთან, საევაკუაციო გეგმაზე არ არის აღნიშნული „სად იმოფება დამკვირვებელი" რის გამოც მასში გარკვევა და საევაკუაციო გასასვლელის მოძებნა დიდ ძალისხმევას და სპეციალურ უნარების ფლობას მოითხოვს. ნულოვან (კომერციულ ფართში) სართულზე ორი ცეცხლმაქრი განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილას, თუმცა საევაკუაციო გეგმით სამია განსაზღვრული(იხ. დანართი 5). დირექტორთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ იგეგმება მესამის შეძენაც. ასევე ორი ცეცხლმაქრია მეორე სართულზეც, თუმცა მათი რაოდენობის საკმარისობა უცნობია, რადგან შესაბამისი საევაკუაციო გეგმის დამზადებას შპს "სახანძრო უსაფრთხოება" (რომელმაც აღიარა დაშვებული შეცდომა), სკოლას დაპირდა მოგვიანებით, მსურველთა დიდი რიგების გამო.<br>აღსანიშნავია, რომ 2017 წლის დეკემბერში, სკოლის შენობის სახანძრო ტექნიკური შემოწმება განახორციელა „სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობამ" და გამოვლენილი დარღვევებისთვის სკოლას მიაწოდა მიწერილობა N23/9/1 (იხ. დანართი 6), რომელშიც აღწერილია გასატარებელი ღონისძიებები და მათი აღმოფხვრის ვადები. მიწერილობის მიხედვით გასატარებელია სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომელთაგან უმრავლესობა, ვიზიტის პერიოდისთვის უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, თუმცა სკოლას არც ერთი ღონისძიება არ განუხორციელებია. ეს ღონისძიებებია:<br>1. ავარიული მანათობელი „EXIT" მაჩვენებლების დამონტაჟება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ............................
ექსპერტი ------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

2. ქიმიისა და საბუნებისმეტყველების ლაბორატორიაში არსებული ადვილად აალებადი ნითიერებების შენახვა მოხდეს სპეციალურ სათავსებში (რკინის კარადა) და მიეთითოს ხანძარსაშიში ან ფეთქებად ხანძარ საშიშროების შემცველი ინფორმაციის წარწერითა და ინსტრუქციით;

3. თანამშრომელთაგან დაინიშნოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე ტექნიკურ მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირი;

4. პედაგოგებსა და თანამშრომლებს ჩაუტარდეს სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება;

5. შემუშავებული იქნას ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია;

6. შენობაში მოეწყოს საევაკუაციო მეორე კიბის უჯრედი. გარდა ამისა სექტემბრისთვის სკოლამ შენობაში უნდა დაამონტაჟოს ხანძრის დროული აღმოჩენის მიზნით ავტომატური სიგნალიზაციის სისტემა და დაამონტაჟოს შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა.

სკოლაში მოსწავლეთა და პესონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შემუშავებულია შპს„არილის" უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოფხვრის წესი.

სკოლას ჰყავს ექიმი. სამასწავლებლოში დგას სამედიცინო კარადა სხვადასხვა სახის მედიკამენტებით. ექიმთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ის რაიმე სახის დოკუმენტაციას არ აწარმოებს, საიდანაც გაირკვეოდა ვინ რა ჩივილით მიმართა ექიმს და რა სახის დახმარება გაეწია, ან რა სახის პრევენციული ღონისძიებები გატარდა.

სკოლის მთავარი შესასვლელი (კორპუსის სადარბაზოს კარი) მუდმივად დაკეტილია კოდირებული საკეტით და გარედან მოსული კოდის აკრეფის შემდეგ აუდიო კომუნიკაციის საშუალებით, უკავშირდება სკოლის თანამშრომელს და მასთან გასაუბრების შემდეგ შედის შენობაში.

ამ მთავარ (სადარბაზოს) შესასვლელთან სკოლას არ აქვს კამერები დამონტაჟებული, თუმცა იქ დამონტაჟებულია 3 კამერა. როგორც დირექტორმა განმარტა, კამერები დამონტაჟებულია შენობის მეპატრონის - ამხანაგობა „ჩემი სახლის" მიერ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ეთხოვა კამერების მეპატრონისთვის,



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | კამერებიდან წამოსული სიგნალის გაზიარება, რათა სკოლას საშუალება მისცემოდა მომსვლელები ვიზუალურადაც დაენახა. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება, რომელშიც ჩაწერილია, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე ნებას რთავს შპს არილის დამფუძნებელს საჭიროების შემთხვევაში წვდომა ჰქონდეს კამერების ჩანაწერებთან. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების შედგენის თარიღი უცნობია, მოქმედების ვადა უცნობია და არც ის სანქციებია განსაზღვრული , რომელიც დაეკისრება მხარეს პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.(იხ. დანართი 7). გარდა ამ კამერებისა, სკოლის საკუთარი კარის შესასვლელებზე, კიბის უჯრედის მხარეს დამონტაჟებულია თითო კამერა, რომელთა ტექნიკური მახასიათებლები შეესაბამება მოთხოვნილ პარამეტრებს. გარდა ამისა, სკოლის ორივე სართულის შიდა პერიმეტრზე არის ორ-ორი სამეთვალყურეო კამერა. კამერების გამოსახულების ასახვა და ჩაწერა ხორციელდება სამასწავლებლოში არსებულ კომპიუტერზე. ვიზიტის პერიოდში ერთი შიდა კამერა გათიშული იყო და საჭიროებდა შეკეთებას. |
| დადასტურება/დანართი | ვიზუალური დათვალიერება;<br>კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>შპს „არილის" უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოფხვრის წესი.;<br>საევაკუაციო გეგმები - დანართი 5, სამ ფურცლად;<br>„სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის" მიწერილობა N23/9/1 - დანართი 6, სამ ფურცლად;<br>ხელშეკრულება კამერების გამოყენებაზე - დანართი 7, ერთ ფურცლად;<br>დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | არ არის დაკმაყოფილებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ.გ" ქვეპუნქტი. |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ...................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ...................................

ექსპერტი ---------------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

**2.7** სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისადაწარმართვისპროცედურათაამსახველისხვადოკუმენტები

| | |
|---|---|
| აღწერა | დაწესებულებას აქვს წესდება (დანართი 8) და შინაგანაწესი (დანართი 9).აღნიშნულ დოკუმენტებს აწერია, რომ დამტკიცებულია პედსაბჭოს N1 ოქმით 2017 წლის 7 სექტემბერს, თუმცა ამ ოქმის დღის წესრიგში არ არის შესული წესდებისა და შინაგანაწესის დამტკიცება (იხ. დანართი 8, პედსაბჭოს ოქმი N1).<br>საგულისხმოა, რომ ამ დოკუმენტებში აღწერილი ზოგიერთი რეგულაცია გადასახედია და შესაცვლელია. მაგალითად: წესდების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია დაწესებულების მართვის ორგანოები: ა) დირექტორი; ბ) ადმინისტრაცია; გ) კლასის ხელმძღვანელთა საერთო კრება; დ) პედაგოგიური საბჭო. დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ კლასის ხელმძღვანელთა საერთო კრება სკოლაში არ არსებობს და ეს პუნქტი ამოსაღებია. ასევე შესაცვლელია ამავე მუხლის მე-9 პუნქტი, რომლის მიხედვით პედაგოგიური საბჭო წარმოადგენს დირექტორის სათათბირო ორგანოს, რომელსაც ევალება მხოლოდ რეკომენდაციებისა და დასკვნების შემუშავება, თუმცა პედაგოგიურ საბჭოს მიერ დამტკიცებულია სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტი (იხ. დანართი 10 - პედსაბჭოს სხდომის ოქმი). დარღვეულია მე-3 მუხლის მე-11 პუნქტიც (რომლითაც განსაზღვრულია, რომ დირექტორის ბრძანებით უნდა იყოს დამტკიცებული შინაგანაწესი, თანამდებობრივი ინსტრუქციები და ადმინისტრაციის წევრთა შორის ფუნქციების განაწილება), რამდენადაც შინაგანაწესი დამტკიცებულია პედსაბჭოს მიერ, ხოლო რაც შეეხება ინსტრუქციებს ისინი დამტკიცებული არ არის, ადმინისტრაციის წევრები არ არის განსაზღვრული და შესაბამისად არც მათი ფუნქციებია განაწილებული.<br>ასეთივე ჩანაწერია შინაგანაწესის მე-14 მუხლში, რომლის მიხედვითაც სკოლის ადმინისტრაცის წევრების უფლებები განისაზღვრება სკოლის დამფუძნებლის (დირექტორის) ბრძანებით, თუმცა ასეთი ბრძანება სკოლამ ვერ წარმოადგინა. |
| დადასტურება/დანართი | წესდება - დანართი 8, ცხრა ფურცლად;<br>შინაგანაწესი- დანართი 9, ოცდაერთ ფურცლად; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------------------

| | |
|---|---|
| | პედსაბჭოს ოქმი N1 07, 09,2017 - დანართი 10, სამ ფურცლად;<br>დირექტორთან გასაუბრება. |
| შეფასება | **არ არის დაკმაყოფილებული**„ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი. |

**2.8** შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი/გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2012-2018 წწ) და ერთწლიანი გეგმა, რომელსაც რატომღაც 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო გეგმა აწერია, სამოქმედო გეგმის ნაცვლად.<br>სტრატეგიულ (ექვსწლიან) გეგმაში ასახული პუნქტებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას, ბევრი შესრულებულია (მაგალითად სკოლის საკუთარი შენობის შეძენა), თუმცა ზოგიერთი კვლავაც შესასრულებელია, (მაგალითად სამედიცინო კაბინეტის მოწყობა) (იხ. დანართი 9).<br>მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, ერთწლიან გეგმაში, მხოლოდ მწირი ჩანაწერით არის წარმოდგენილი - „ტექნიკური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა' და არ არის დაკონკრეტებული რას გულისხმობს სკოლა ამ ჩანაწერით **(იხ. დანართი 11).**<br>ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რამდენად აანალიზებს სკოლა საკუთარ საქმიანობას ყოველწლიურად და როგორ ითვალისწინებს ანალიზის შედეგებს მომავალი წლის დაგეგმვისას. ამ მიზნით სკოლას მოვთხოვეთ წინა წლების სამოქმედო გეგმები. სკოლამ წარმოადგინა ორი წლის წინანდელი (2015-2016 წწ) გეგმა, რომელიც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის ზუსტი ანალოგი აღმოჩნდა (იხ. დანართი 11). |
| დადასტურება/დანართი | სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (დანართი 11, თხუთმეტ ფურცლად); |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. |

**2.9** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლას შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების ერთიანი წესები“ და „საქმეთა ნომენკლატურა“, რომლის მიხედვითაც ხორციელდება დაწესებულებაში შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვა. სკოლა აწარმოებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალებს მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის; საერთო ბრძანებების ჟურნალებს; შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვის ჟურნალებს; ასევე შრომითი ხელშეკრულებებისა და გაცემული ცნობების აღრიცხვის ჟურნალებს. |
| დადასტურება/დანართი | საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>საქმეთა ნომენკლატურა;<br>შემოსული და გასული კორესპონდეციების აღრიცხვის ჟურნალები;<br>ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>ჟურნალების შესაბამისი საქაღალდეები, რომელშიც დაცულია კორესპოდენციები, ბრძანებები ან/და მათი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | ასლები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი. |

## III. ადამიანურირესურსი

3.1. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი

| | |
|---|---|
| აღწერა | შპს "არილის" საინფორმაციო სისტემის ბაზის მიხედვით ირიცხება 120 მოსწავლე. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლაში სულ 38 თანამშრომელია. მათ შორის 1დირექტორი, 1 სასწავლო პროცესის კოორდინატორი, 1 ბუღალტერი, 1 აღმასრულებელი დირექტორი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 მნე, 1 ადმინისტრატორი, 1 დამლაგებელი, 7 კოორდინატორი ( გახანგრძლივებული კლასების მასწავლებლები).<br>სკოლაში სულ 29 მასწავლებელია. |
| დადასტურება/დანართი | მოსწავლეთა მართვის საინფორმაციო ბაზა;<br>მასწავლებლების მართვისსაინფორმაციობაზა; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

| | |
|---|---|
| | ხელფასების გაცემის დოკუმენტაცია. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურის დამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5მუხლის„ა"ქვეპუნქტით. |

3.2. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

| | |
|---|---|
| აღწერა | მასწავლებელთა სკოლაში დასაქმება რეგულირდება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად.<br>პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ: 29 მასწავლებლიდან 7-ს უფროსი მასწავლების სტატუსი აქვს, 1 მასწავლებელი დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს საგანმანათლებლო საქმიანობს.<br>უნდა აღინიშნოს რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებლები თავისი კვალიფიკაციით შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობებს, ყველა მასწავლებელს აქვს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი). |
| დადასტურება/დანართი | თანამშრომელთა პირადი საქმეები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურის დამტკიცებისშესახებ"საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„ბ"ქვეპუნქტით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის წესდებაში (მუხლი 4) გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე სკოლაში თანამშრომელთა მიღებას ეხება და ავსებს მიღების, დროს გასატარებელ ღონისძიებებს შინაგანაწესის მე-5 მუხლი.<br>შინაგანაწესის მე-6 მუხლში აღწერილია წახალისებისა და სანქციების შესახებ. აღნიშნულ მუხლში მოცემულია ჩამონათვალი დისციპლინური დარღვევებისა და დისციპლინური სახდელების. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავოს სისტემა, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება, რომელ დისციპლინურ გადაცდომას, რა სახდელი დაეკისრება. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა დისციპლინურ სახდელთა სიაში არის სახდელი „საჯაროდ ბოდიშის მოხდა“ (იხ. დანართი, 9 - შინაგანაწესი, მუხლი 10), რაც გამოყენების შემთხვევაში ლახავს მოსწავლის ღირსებას და ეწინააღმდეგება ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-19 მუხლის მე-8 პუნქტის მითხოვნას, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას. ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ----------------------------------------------

| | |
|---|---|
| დადასტურება/დანართი | შინაგანაწესი - დანართი 9; |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

3.4 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა

| | |
|---|---|
| აღწერა | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მათი უმრავლესობა გაფორმებულია ერთი წლის ვადით, თუმცა ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული ანაზღაურებადი ან/და ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წესი და ხანგრძლივობა (იხ. დანართი 12), ასევე არ არის გათვალისწინებული შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო. გაურკვეველია, მშობიარობის შემთხვევაში შეენახება თუ არა სამუშაო ადგილი დასაქმებულს. აღნიშნული არ შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის "შრომის კოდექსის" 21-ე და 27-ე მუხლის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც თანამშრომლებს აქვთ ამ ტიპის შვებულებით სარგებლობის უფლება. ამ საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია. |
| დადასტურება/ დანართი | ხელშეკრულებები - დანართი 12, ოთხ ფურცლად. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..........................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..........................
ექსპერტი ----------------------------------

| | |
|---|---|
| | პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით. |

3.5. სკოლასშემუშავებულიაქვსადამიანურირესურსისპროფესიულიგანვითარებისხელშეწყობისმექანიზმები

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლა ჩართულია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და შესაბამისად მასწავლებლები მონაწილეობენ სქემის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში. არსებობს დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანება სკოლის შიდა შეფასების ჯგუფის შექმნის შესახებ. |
| დადასტურება/დანართი | მასწავლებლების მართვის საინფორმაციო ბაზა;<br>მასწავლებელთა პირადი საქმეები. |
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანების მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით. |

3.6. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

| | |
|---|---|
| აღწერა | სკოლის თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ის გარემოება, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. |
| დადასტურება/დანართი | ინტერვიუები |

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..................................

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..................................

ექსპერტი ----------------------------------------------

მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

| | |
|---|---|
| შეფასება | დაკმაყოფილებულია„საგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისდებულებისადასაფასურისდამტკიცებისშესახებ“საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრის 2010 წლისპირველიოქტომბრის N99/ნბრძანებისმე-5 მუხლის„ვ“ქვეპუნქტით. |

თანდართული დოკუმენტაცია:

დანართი N1 - სასკოლო სასწავლო გეგმა, 19 ფურცლად;
დანართი N2 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 4 ფურცლად;
დანართი N3 - მერხების შესყიდვის დოკუმენტები, ექვს ფურცლად;
დანართი N4 - ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი მერხებზე, ხუთ ფურცლად;
დანართი N5 - საევაკუაციო გეგმები, სამ ფურცლად;
დანართი N6 - სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის“ მიწერილობა N23/9/1, სამ ფურცლად;
დანართი N7 - ხელშეკრულება კამერების გამოყენებაზე, ერთ ფურცლად;
დანართი N8 - წესდება, ცხრა ფურცლად;
დანართი N9 - შინაგანაწესი, ოცდაერთ ფურცლად;
დანართი N10 - პედსაბჭოს ოქმი N1 07, 09,2017 სამ ფურცლად;
დანართი N11 - სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები თხუთმეტ ფურცლად;
დანართი N12 - ხელშეკრულების ფორმა, ოთხ ფურცლად.

2018, 11 აპრილი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე ..............................
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ..............................
ექსპერტი ------------------------------